ბრძანება

N 04/61

61-01-4-202003111746

11/03/2020

გადაწყვეტილება

2020 წლის 24 იანვრის № 01/53 განცხადების საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

1.1. განცხადების შინაარსი

საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“), წარმოდგენილ იქნა მოქალაქეების ანა დოლიძის, გია ბერეჟიანისა და ლელა გულედანის განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი: 24.01.2020; ნომერი: 01/53), ფარმაცევტული კომპანიების ბაზარზე არსებული საქმიანობით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

განცხადების თანახმად, ბაზარზე ოლიგოპოლიურ მდგომარეობაში იმყოფება ოთხი კომპანია: შპს „პსპ ფარმა“ – 22.32%; შპს „ეი-ბი-სი“ ფარმაცია - 14.91%; შპს „ავერსი-ფარმა“ – 14.54% და სს „ჯი-პი-სი“ – 10.20%. ამ კომპანიების გაბატონება ბაზარზე საფრთხეს უქმნის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და იწვევს ყოველწლიურად მედიკამენტებზე ფასების ზრდას. განცხადებაზე თანდართულია დოკუმენტები, სადაც, განმცხადებლების განმარტებით, დეტალურად არის მოცემული ინფორმაცია მედიკამენტებზე ფასების ყოველწლიურ ზრდასთან დაკავშირებით.

გამცხადებლები ითხოვენ, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და შეისწავლოს, ხომ არ იკვეთება რომელიმე კონკრეტული პირის/პირების კერძო ინტერესები და ადგილი ხომ არ აქვს დომინირებული მდგომარეობის მოპოვებას/ბოროტად გამოყენებას (მედიკამენტებზე ფასების ზრდასთან), რასაც კრძალავს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

1.2. შესაბამისი ეკონომიკური აგენტების პოზიცია

სააგენტოს 2020 წლის 28 იანვრის № 02/86; 02/87 და 02/88 წერილებით განცხადება გადაეგზავნა შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს - სს „გეფას"; შპს „ავერსი-ფარმას" და შპს „პსპ ფარმას". ამასთან, კომპანიებს ეთხოვათ განცხადებაში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით პოზიციის წარმოდგენა.

2020 წლის 6 თებერვლის წერილით (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი: 06.02.2020; ნომერი: 01/97) შპს „ავერსი-ფარმამ" სააგენტოს წარუდგინა საკუთარი პოზიცია:

კომპანიის განმარტებით, განცხადებაზე თანდართული ერთადერთი მტკიცებულება არის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გამოთხოვილი ინფორმაცია მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებით. აღნიშნული დოკუმენტი ვერ იქნება იმის მტკიცებულება, რომ ფარმაცევტულ ბაზარზე ოპერირებადი კომპანიები დომინირებულ მდგომარეობას ან მოიპოვებენ ან ბოროტად იყენებენ. თუნდაც, რომელიმე კომპანიას ჰქონდეს მოპოვებული დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, რაც ასევე შეფასების საკითხია, ცალკე აღებული დომინირებული მდგომარეობის ქონა, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციებით აკრძალული არ არის და კანონსაწინააღმდეგო ქმედებას არ წარმოადგენს. რაც შეეხება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, კომპანიის განცხადებით, გაუგებარია, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი დოკუმენტი ამას როგორ ადასტურებს.

განცხადებაში საუბარია ვარაუდებზე, რომ შესაძლოა ირღვეოდეს „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის. კომპანიის განცხადებით, ასევე სრულიად გაუგებარია, რას გულისხმობს განმცხადებელი ფარმაცევტული კომპანიების ბაზარზე არსებული საქმიანობით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილების სავარაუდო დარღვევაში, როდესაც აღნიშნული დადგენილება ეხება უშუალოდ კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცებას და განსაზღვრავს მისი საქმიანობის ზოგად პრინციპებს, ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, სააგენტოს სტრუქტურას, ქონებას, ფინანსებს და ა.შ.

რაც შეეხება განცხადებაში მითითებულ მტკიცებულებებში დაფიქსირებულ ინფორმაციას, შპს „ავერსი-ფარმას" განცხადებით, აღნიშნული ცხრილებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მედიკამენტების ფასების ინდექსი უფრო ნაკლებია, ვიდრე ძირითადი კვების პროდუქტების. მაშინ, როდესაც ქვეყანაში არსებული პროდუქციის 80% იმპორტირებულია, ხოლო აშშ დოლარის, ისევე როგორც ევროს კურსი 2019 წლის ნოემბრის ჩათვლით მუდმივად იზრდებოდა, თავისთავად აღნიშნული განაპირობებდა ფასების ზრდას და ცვლილებას.

ამასთან, განცხადებაში მითითებულია, რომ კონკურენციის სააგენტო ვალდებულია, შეისწავლოს ფარმაცევტული კომპანიების ოლიგოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. ოლიგოპოლიის ცნებას კანონი არ იცნობს, ხოლო თუ ოლიგოპოლიის ქვეშ განმცხადებელი დომინირებულ მდგომარეობას გულისხმობს, ეს არის სწორედ ამჟამად მიმდინარე შესწავლისა და მონიტორინგის ერთ-ერთი მიზანი - დადგინდეს შესაბამისი ბაზარი, ამ ბაზარზე ამა თუ იმ კომპანიას აქვს თუ არა

მოპოვებული დომინირებული მდგომარეობა და ხომ არ ხდება დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. თავად განმცხადებლების მიერ განცხადებაში მითითებულ წილობრივ მონაცემებს თუ შევაფასებთ, კანონის მიხედვით, დომინირებული მდგომარეობისათვის დადგენილი წილობრივი მონაცემები კომპანიას არ აქვს.

შპს „ავერსი-ფარმას“ პოზიციით, ვინაიდან კონკურენციის სააგენტო უკვე ატარებს ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგს, რაშიც კომპანია აქტიურად არის ჩართული, გონივრულია დაველოდოთ მონიტორინგის შედეგებს, რომელიც სრულად დ ამომწურავად გასცემს პასუხს განცხადებაში მითითებულ ყოველგვარ ეჭვსა თუ ვარაუდს.

<u>2020 წლის 7 თებერვლის წერილით (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი: 07.02.2020; ნომერი: 01/101) შპს „პსპ ფარმამ“ სააგენტოს წარუდგინა საკუთარი პოზიცია:</u>

კომპანიის განცხადებით, სახალხო დამცველის მიერ „2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ ანგარიშში გაცემული რეკომენდაციით და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული 2018 წლის 19 ივლისის №3148-რს დადგენილების მე-18 პუნქტის საფუძველზე, ასევე საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 25 დეკემბრის №04/375 ბრძანებით, კონკურენციის სააგენტოს მიერ დაწყებულია ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგი, რომელიც ახლაც გრძელდება. შპს „პსპ ფარმას“ განმარტებით, აღნიშნული მონიტორინგის ფარგლებში, კომპანიას სრულად აქვს წარმოდგენილი სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგენს კომპანიის კონფიდენციალურ ინფორმაციას. კომპანიის განმარტებით, განსახილველ განცხადებაში არ არის მოყვანილი რაიმე მნიშვნელოვანი ახალი ფაქტობრივი გარემოება ან/და რაიმე მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც შპს „პსპ ფარმას“ მხრიდან საჭირო გახდებოდა სააგენტოსთვის ფარმაცევტული ბაზრის ისედაც მიმდინარე მონიტორინგის პროცესში დამატებითი დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის წარმოდგენა.

<u>2020 წლის 7 თებერვლის №170/20 წერილით (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი: 07.02.2020; ნომერი: 01/104) სს „გეფამ“ სააგენტოს წარუდგინა საკუთარი პოზიცია:</u>

კომპანიას მიაჩნია, რომ განცხადების ავტორის პოზიცია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით სრულიად დაუსაბუთებელი და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. განმცხადებელი მიუთითებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევაზე, რომლის შესაბამისად, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს ამ მუხლში მოცემული კონკრეტული ქმედებები.

სს „გეფას“ განცხადებით, დასახელებული ნორმის დარღვევის გონივრული ეჭვი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ქმედება ხორციელდება დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის/აგენტების მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. შესაბამისად, გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ, დომინირებული მდგომარეობის და მეორე მხრივ, ისეთი ქმედების განხორციელებასთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

სს „გეფას“ განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი და საკვანძოა ის ფაქტი, რომ განცხადებაზე დართულ 2018 და 2019 წლიურ მონაცემებში ფიქსირდება

რიგ ფარმაცევტულ პროდუქციაზე ფასების მცირე ზრდის, ზოგზე კი - კლების ტენდენციები. (წერილში ასევე მოცემულია შესაბამისი მაგალითები). კომპანიის განცხადებით, სს „გეფას“ მიმწოდებელთა უმრავლესობა წარმოადგენს არარეზიდენტ იურიდიულ პირს და ფასებიც მეტწილად დამოკიდებულია მიმწოდებელთა პირობებზე და უმეტეს შემთხვევაში, დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში (აშშ დოლარი, ევრო). ფასწარმოქმნას მნიშვნელოვნად განაპირობებს ეროვნული ვალუტის დევალვაციის მაჩვენებლები (წერილში მოყვანილია, ლარის კურსის საშუალო წლიური დევალვაცია 2018 და 2019 წლებისათვის).

კომპანიის განცხადებით, მიუხედავად დევალვაციის აღნიშნული მაჩვენებლებისა, ზემოთ მითითებულ ფარმაცევტულ პროდუქციაზე, არათუ დევალვაციის პროპორციული ზრდა, არამედ, რიგ შემთხვევებში, ფასების კლება აქვს კომპანიას, განცხადებაზე თანდართულივე მონაცემების/ინდექსების მიხედვით, 2019 წლის საშუალო ინდექსის ზრდა 2018 წლის საშუალო ინდექსზე 0.5%-ია. აღნიშნული, კი, სს „გეფას“ მტკიცებით, ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ძალზედ კონკურენციული გარემოთი გახლავთ გამოწვეული, რაც განაპირობებს იმას, რომ დევალვაციის პროპორციულად არ ხდება ფასების ზრდა ფარმაცევტულ პროდუქციაზე.

კომპანიის განცხადებით, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ საქმეში Airtours plc v. Commission of the European Communities განმარტა, რომ ჯგუფური დომინირება შემდგომი სამი ფაქტორის მხედველობაში მიღებით შეიძლება განისაზღვროს, კონკრეტულად როცა: (1) თითოეულმა ფირმამ იცოდა, როგორ იქცეოდნენ სხვა წევრები (ისინი შეიძლება აკვირდებოდნენ ბაზარს, საერთო პოლიტიკის განსაზღვრა თუ სურთ); (2) მსგავსი სიტუაციის შენარჩუნება შესაძლებელი უნდა იყოს ხანგრძლივად, ე.ი. ჯგუფის წევრებს არ უნდა ჰქონდეთ ბაზრის ერთობლივი პოლიტიკიდან გადახვევის მოტივაცია; (3) საერთო პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებზე ზეგავლენას ვერ უნდა ახდენდეს არსებული და პოტენციური კონკურენტების (ისევე როგორც მომხმარებლების) მოსალოდნელი რეაქცია. სს „გეფას“ მტკიცებით, მოცემულ შემთხვევაში, ამ ფაქტორების არსებობა სრულად გამორიცხულია.

კომპანია მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მიმდინარე ეტაპზე კონკურენციის სააგენტო ახორციელებს მთლიანად ფარმაცევტული ბაზრის კვლევას, რომელიც მოიცავს 2017-2019 წლებს, შესაბამისად, თუ რა ფაქტორები განაპირობებს ფარმაცევტული პროდუქტების ფასებს, დადგენადი/განსაზღვრადი იქნება აღნიშნული მონიტორინგის პროცესშიც.

სს „გეფას“ განცხადებით, სახეზე არ გვაქვს არცერთი ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც შესაძლოა, ირიბად მაინც მიუთითებდეს კომპანიის მიერ ინდივიდუალური ან სხვა ფარმაცევტულ კომპანიებთან ერთად, ჯგუფური დომინირებული მდგომარეობის არსებობასა და მისი ბოროტად გამოყენების ფაქტს.

1.3. დამატებითი ინფორმაცია

განცხადების მატერიალური დასაშვებობის საკითხის შესწავლისას, შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში განსახილველ ერთ-ერთ

მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს იმ შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, რომელზეც ხდება „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული სავარაუდო ქმედება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ე.წ. ფარმაცევტული სექტორი მოიცავს არაერთ (ათასობით) შესაბამის ბაზარს, რაც დასტურდება როგორც უშუალოდ საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკით (სააგენტოში მიმდინარე შესაბამისი მონიტორინგით), ასევე საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებით. კერძოდ, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მედიკამენტებს გააჩნიათ სპეციფიური დანიშნულება, რის გამოც მათი ჩამნაცვლებელი ვერ იქნება სხვა ნებისმიერი შემთხვევითი მედიკამენტი, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისათვის სააგენტო ეყრდნობა საერთაშორისოდ აღიარებულ, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ მედიკამენტების ATC (ანატომიურ-თერაპიულ ქიმიური) კლასიფიკაციას, რომლის საფუძველზეც, ბაზარს განსაზღვრავს მინიმუმ ATC-4 (ქიმიური ქვეჯგუფი) დონეზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის სტანდარტის ჯეროვნად შესაფასებლად, სააგენტოს 2020 წლის 12 თებერვლის №02/222 წერილით, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებლებს ეთხოვათ, 10 სამუშაო დღის ვადაში წარმოედგინათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რომელ შესაბამის ბაზარს მოიაზრებენ სააგენტოში წარმოდგენილ განცხადებაში.

გარდა ამისა, განმცხადებლებს განემარტათ, სააგენტოსთვის განსაზღვრულ დროში ინფორმაციის წარმოუდგენლობის შედეგები.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს ეკონომიკური კონკურენციის დაცვის დეპარტამენტის 2020 წლის 10 მარტის №03/63 მოხსენებითი ბარათის თანახმად, სააგენტოს 2020 წლის 12 თებერვლის №02/222 წერილი განმცხადებლებს გაეგზავნათ საქართველოს ფოსტის მეშვეობით. გზავნილი ჩაბარდა 2020 წლის 17 თებერვალს (მოხსენებით ბარათს თან ერთვის საქართველოს ფოსტის მიერ გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი). აღსანიშნავია, რომ სააგენტოს წერილი ჩაიბარა სხვა პირმა და არა განცხადებაში მითითებულმა პირებმა (ა. დოლიძე, გ ბერეჟიანი და ლ. გულედანი). მიმდინარე წლის 5 მარტს, კონკურენციის სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ მოხდა განცხადებაში მითითებულ ტელეფონის ნომერზე დაკავშირება, სადაც დაუდასტურეს კონკურენციის სააგენტოს 2020 წლის 12 თებერვლის №02/222 წერილის მიღება. ამდენად, ხსენებული წერილი განმცხადებლებს ჩაბარდათ 2020 წლის 17 თებერვალს, წერილით განსაზღვრული, სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების 10 დღიანი (სამუშაო დღე) ვადის ათვლა დაიწყო წერილის ჩაბარების მომდევნო დღეს - 2020 წლის 18 თებერვალს და დასრულდა 2020 წლის 2 მარტს. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს მიერ დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენის ვადა გასულია, დღემდე (2020 წლის 10 მარტის მდგომარეობით), განმცხადებლების მიერ არ არის წარმოდგენილი არც დამატებითი ინფორმაცია და არც რაიმე სხვა სახის კორესპონდენცია.

2. საქართველოს კანონმდებლობა

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის შესაბამად, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონი კრძალავს ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ამასთან, კანონი „დომინირებულ მდგომარეობას“ განმარტავს, როგორც შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთ მდგომარეობას, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია[1].

კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად მიჩნეულია შემდეგი ქმედებები: შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასების ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა; წარმოების, ბაზრების ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებელთა ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა; გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე დისკრიმინაციული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება; ხელშეკრულების წინაპირობად გარიგების იმგვარი პირობის დაწესება, რომელიც გარიგების მეორე მხარეს ისეთ დამატებით ვალდებულებას აკისრებს, რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან და სხვა.

კონკურენციის პოლიტიკის განსახორციელებლად, კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილების შესაბამისად, შეიქმნა საქართველოს კონკურენციის სააგენტო. სააგენტოს ამოცანებად განისაზღვრა კონკურენციის პოლიტიკის განხორციელება, საქართველოში კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი პირობების შექმნა, დაცვა და ამ მიზნით ყველა ტიპის ანტიკონკურენციული შეთანხმებისა და ქმედების დაუშვებლობა, გამოვლენა და აღკვეთა,

[1] მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი

ხოლო სააგენტოს საქმიანობის პრინციპებად - დამოუკიდებლობა, არადისკრიმინაციულობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება[2].

2.2. პროცედურული ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად განხორციელების მიზნით, ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით, კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია: აწარმოოს საქმის მოკვლევა წარდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე, ან საკუთარი ინიციატივით; საქმესთან დაკავშირებით მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია; მოითხოვოს განხორციელებული ქმედების კანონთან შესაბამისობის უზრუნველყოფა და ა.შ.; კანონის 33-ე მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკურ აგენტს/ეკონომიკურ აგენტთა ჯგუფს, დომინირებული მდგომარეობის გამოყენებისათვის დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5 პროცენტს.

კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტოში განცხადების წარდგენის უფლება აქვს განმცხადებელს. თუმცა, განმცხადებელი მხარედ არ განიხილება.

„განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო განცხადებას შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების დასაშვებად ცნობის ან დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება განმცხადებელს. ბრძანების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, ასევე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სააგენტოს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოსთხოვოს განმცხადებელს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა და განუსაზღვროს დამატებითი ვადა.

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების (შემდგომში „საქმის მოკვლევის წესი“) მე-2 მუხლის მიხედვით, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლში. აღსანიშნავია, რომ საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველია შემთხვევა, როდესაც სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ არის წარმოდგენილი გამოთხოვილი ინფორმაცია. იგივე წესს ადგენს, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების მე-11 მუხლიც.

---

[2] მე-17 მუხლი

უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

საქართველოს კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილ იქნა მოქალაქეების ანა დოლიძის, გია ბერეჟიანისა და ლელა გულედანის განცხადება ფარმაცევტული კომპანიების ბაზარზე არსებული საქმიანობით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კონკურენციის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

გამცხადებლები ითხოვენ, საქართველოს კონკურენციის სააგენტომ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და შეისწავლოს ხომ არ იკვეთება რომელიმე კონკრეტული პირის/პირების კერძო ინტერესები და ადგილი ხომ არ აქვს დომინირებული მდგომარეობის მოპოვებას/ბოროტად გამოყენებას (მედიკამენტებზე ფასების ზრდასთან), რასაც კრძალავს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს მიერ შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვასთან დაკავშირებით გონივრული ეჭვის სტანდარტის ჯეროვნად შესაფასებლად, სააგენტოს 2020 წლის 12 თებერვლის №02/222 წერილით, კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განმცხადებლებს ეთხოვათ, 10 სამუშაო დღის ვადაში წარმოედგინათ ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რომელ შესაბამის ბაზარს მოიაზრებენ სააგენტოში წარმოდგენილ განცხადებაში. გარდა ამისა, განმცხადებლებს განემარტათ, სააგენტოსთვის განსაზღვრულ დროში ინფორმაციის წარმოუდგენლობის შედეგები.

აღსანიშნავია, რომ განმცხადებლებს, განსაზღვრულ დროში, სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფრომაცია არ წარმოუდგენიათ - რაც, კანონის 24-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია.

აქვე, აღსანიშნავია, რომ „2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ სახალხო დამცველის ანგარიშისა და საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის №3148-რს დადგენილების მე-18 პუნქტის საფუძველზე, სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 25 დეკემბრის №04/375 ბრძანების შესაბამისად, კონკურენციის სააგენტოს მიერ შემუშავებულია ფარმაცევტული ბაზრის მონიტორინგის 2 წლიანი სამოქმედო გეგმა და დაწყებულია შესაბამისი ბაზრების მონიტორინგი. გეგმის მიხედვით, სააგენტომ ეტაპობრივად ახორციელებს შესასწავლი აქტიური ნივთიერებების შერჩევას, შესაბამისი ბაზრების განსაზღვრის მიზნით შერჩეული აქტიური ნივთიერებების პოტენციური ჩამნაცვლებლების დადგენას, შესაბამისი ინფორმაციის მიღებასა და სიღრმისეულ ანალიზს. თუ მონიტორინგის

შედეგების შესაბამისად გაჩნდება კონკრეტული სუბიექტების მხრიდან კანონის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, სააგენტო საკუთარი ინიციატივით დაიწყებს საქმის მოკვლევის პროცედურას, შესაბამისი დარღვევის იდენტიფიცირებისა და მასზე შესაბამისი რეაგირების მიზნით.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17^1 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების, 24-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-11 და მე-12 მუხლების შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. მოქალაქეების ანა დოლიძის, გია ბერეჟიანისა და ლელა გულედანის 2020 წლის 24 იანვრის №01/53 განცხადება არ იქნას დასაშვებად ცნობილი.
2. განმცხადებლებს უარი ეთქვათ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე